საქართველო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 197 დამატების № 35

კვირა, 4 ენკენისთვე, 1916 წ.

უნუგეშოდ დატოვებული.



მხატვარი ოსკარ ივანეს ძე შმერლინგი. 19 მარიამობისთვეს შესრულდა 15 წელიწადი, რაც ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მოღვაწეობს. (იხ. დღევანდელი „საქ.“)

ბანკირი

ემილ ვერჰარნისა

გამოხუნებულს სავარძელში ზის თავ-წახრილი
შუადამ პირ-ქუში, შეჭმუხნული, სახე-უცვლელი.
მაგიდას უზის დახროვილსა დავთარ-წიგნებით.
მისი კალამი დანავარდობს ჩვეულის ხელით,
ხოლო გონება კი სხვაგან რბის, იქ, „ცის დასავალს“!
თვალ-წინ ეხატვის ბატავია, კაპშტადტ, კოლომბო,
ინდოეთისა ოკეანე და ჩინეთისა
მისი ხომალდნი შეუპოვრად ტალღას აპობენ
და ხან ებრძვიან ქარიშხალსა, ხან ისწრაფიან
ნავთსაყუდლისკენ სამშვიდობოდ, თავ-დასაცველად.
აგერ უდაბნოც: ნაშენები მისგან სადგურნი,
ლიანდაგები ქვიშათ შორის მისგან გებული;
იქ, სადაც ოქრო წარმოიშვის და სხვა ლითონი,
სადაც მზე სივრცეს ლაჟვარდოვანს სრულად ბატონობს.
ეგერაც მთელი სამფლობელო ნავთ შადრევანთა,
ჩაშავებული მაღარონი მის მადნეულთა
და მის კანტორათ ჩხარა-ჩხური, ბზიალ-წკრიალი!
მთელს ევროპაში განთქმულია ეს ხმაურობა,
ხმა მათრობელი, გამომწვევი, ფიქრთა დამპყრობი.
ქვეყნის მფლობელნი მის წინაშე თავსა იხრიან,
დაემორჩილნენ მის გავლენას და ძლიერებას,
მას შეუძლიან ქვეყნის ზღვრები გააფართოვოს
ანუ შეზღუდოს, კიდევ უფრო დაავიწროვოს
და ამბოხება ჩამოაგდოს, ვით უკარნახებს
იმას თავისი საიდუმლო ანგარიშთ ჟინი.
თვალწინ ეხატვის აგერ ოქიც უკომლ-უცეცხლო,
რომელს განაგებს, ვითა მეფე ამ ცის ქვეშეთში.
კბილებითა ღრღნის განუწყვეტლივ ის მკვდარ ციფრებსა,
საბედისწერო გამოცანათ სისხლიან ხლართებს.

გამოხუნებულს სავარძელში ზის თავ-წახრილი,
სახე-უცვლელი და სასწრაფოდ ხაზავს ზოლებსა.
მისი სურვილით იმორჩილებს თვით ბედისწერას
და საყვირითა თეთრი რამე საშინელება
ამ სურვილებსა ამცნობს მთელსა ქვეყნიერებას!

ჰოი, ოქროვ, რომელს გკრეფავს
ყოველს წუთს და ყოველს მხარეს,
ლოთობისგან გაგიჟებულს
ქალაქების არე-მარეს.
ან სოფელში, სად განიცდის
შრომის შვილი სრულს სიმწარეს.
თვით მზის სხივში, ან ჰაერში,
რომელს სტაცებს სინარნარეს!

ჰოი ოქროვ, შე-ფრთოსანო,
ოქროვ, ოქროვ მონავარდევ!
ოქროვ, ჰოი სხივოსანო,
თვით წყვდიადში მოკიაფევ!
სასტიკო და ხარბო ოქროვ,
შურის მგებო, უმაძღარო!
წყეულო და სანატრელო,
სიკეთის და ვნების წყაროვ!
ოქროვ ცხოველო,
ცბიერო, გველო,
ყრუ და უწყალოვ!

როს გაჭირვება ესტუმრება დედამიწასა
მაშინ შენ ერთსა ყოველ მხრიდან გენაკებიან!
ოქროვ ლითონო ძველის ძველო, მადანთ მშვენებავ!
მზის და იმედის მონატეხო! ეჰ, ოქროვ, ოქროვ!

თუ რამდენი აქვს მან არ იცის! ეგებ კოშკზედაც
მაღალი არის დაგრეოვილი ფულისა ხროვა!
თვით კი მარტოა.

ოჰ, რა სიამით, გულ-სავსებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოცმარი.—ამოღებულია პრ. „მერანიდან“
ნახ. ვლ. ს.—ერისთავისა.



გიორგი ლომთათიძე.
(ახ. დღევანდელი გაზეთი).

ის გადასცემდა ცის და ქვეყნის მუდმივ დარაჯსა
რაც უშოვნია, თავის ნადავლს, თვით დედამიწას!
ბრბო იმას სწყევლის, ხოლო ყველა მასვე მორჩილებს
და ეხარბებათ, შურთ იმისი. სდგას, ვით ოცნება!
სიხარბე ქვეყნის, სახმილი სწვავს ყოველ არსებას,
ცალიერია მისი სული და რაო მერე,
თუ ვისმე იგი მოატყუებს? მოტყუებული
ხვალ თვითვე მოვა, მის კარებსა დაუკაკუნებს!
მთიდან მოხეთქილ ნიაღვარსა ჰგავს მისი ძალა
და ვით ფოთოლი, ქვა, მცენარე ამა მორევში
ილუპებიან სიმდიდრენი, ქვეყნის დოვლათი,
თვით ქანც-გალეულ ღარიბ-ღატაკთ მონაგარიც კი.
ვით ნიაგარა ყოველივეს ის ანადგურებს;
ეს კუზიანი და პირქუში, სავარძელს მჯდომი,
ანგარიშთ ხროვას რომ დასცქერის, ფიქრს მისცემია
და სწყვეტავს ბედსა მეფეთა და თვით სამეფოთა.

შალვა დადიანი.

უკანასკნელი გამოთხოვება

ვუძღვნი თამარ ვ—ს ასულს.

(დასასრული. იხ. დამატება № 34)

IV

საღამო იყო. შენს საყვარელ ძველ სამხედრო გზაზე მარტოდ დავსეირნობდით. სკამზე ჩამოვჯექით და დუმილი, თბილი, გრძნობიერი დუმილი ჩამოვარდა.

—„ნინო, ნუ თუ მართლა გიყვარვარ, ნუ თუ არ მატყუილებ? გამიმეორე, მითხარი კიდევ!“—აღმომხდა მე ბოლოს გულის სიღრმიდგან და აორთოლებული, აღგზნებული სახე-თვალები შემოგაშტერე. შენ თავი ასწიე, თვისი ცისფერი თვალები შემომაშუქე და შემდეგ ისევ თავდახრილმა, მორცხვად, ნაზი, ოდნავ გასაგონი ხმით წამსჩურჩულე:

— „მიყვარხარ, ვანო“!

აღტაცებული, უსაზღვრო მადლობასიყვარულით გამსჭვალული შემოგცქეროდი... ამ დროს შენ თავი ასწიე და ჩვენი ტუჩები ერთმანეთს შეხვდნენ. ეს იყო ჩვენი პირველი და უკანასკნელი კოცნა, წმიდა და უმწიკვლო, ვით მთვარის ნაზი შუქი, ირგვლივ შემოგვრტყმოდა და ამასთანავე მწველი და მგზნებარე, ვით ცეცხლის ალი...

შენ გიყვარდი. განა შეიძლებოდა ამაზე მეტი ბედნიერება? მაგრამ საჭირო იყო დამსახურება ამ ბედნიერების. მეც შევუდექი ამ მიზნის განხორციელებას. მე მოვკიდე ხელი წიგნებს და მიტოვებული სწავლა კვლავ განვაგრძე. ჩვენ აკი შევფიცეთ ერთმანეთს, რომ დავიცდიდით 4—5 წელიწადს (ჩვენ ხომ სრულიად ახალგაზრდანი ვიყავით), რის შემდეგ უმაღლეს სწავლა მიღებულს და ბედნიერ მომავლისაკენ კარებ გახსნილს მე შეძლება მექნებოდა მოვსულიყავ შენთან და მეთქვა: „მე ღირსი ვარ შენი სიყვარულის, ნდობის და შენი ცხოვრების ამხანაგობის. მე ეს დავიმსახურე პირადი შრომით, ნიჭით და შენი გულწრფელი სიყვარულით“. დიახ, მე მხურვალედ მოვეკიდე საქმეს: ბოლო მოელო უმიზნო, უაზრო ტანჯვა-თრევას და ნაცვლად ამისა ერთი მიზანი, ერთი სურვილი დაეუფლა, სრულიად დაეპატრონა მთელს ჩემს არსებას. და ვით ძვირფასი საქონლით დატვირთული ამაყი გემი, რომელიც უშიშრად და თავისუფლად მიარღვევს ზღვის მშფოთვარ, ძლიერ ტალღებს, რათა მიუახლოვდეს, მიაღწიოს შორიდან წარმტაცად მომჩან ნავთსაყუდელს, სადაც მას დასვენება და ნეტარება მოელის, სრულებით არ ფიქრობს არავითარ დაბრკოლებაზე, რომელსაც შეუძლია შეაჩეროს მისი სწრაფი მსვლელობა და სიცოცხლეს გამოასალმოს, სწორედ ისე მეც, მხოლოდ შენზე დანდობილი, შენზე მლოცველი და შენი შემყურე არაფერზე არ ვფიქრობდი და, თუმცა ეს საკვირველია, ერთხელაც არ მიფიქრია შენს მშობლებზე, ერთხელაც არ მიკითხავს შენთვის, თუ რა აზრის, რა შეხედულების იყვნენ ისინი ჩვენს სიყვარულზე და ამიტომ, როგორ გამაოცა, როგორ იმოქმედა ჩემზე შენმა ამ სამი კვირის წინედ ქალაქში მოწერილმა წერილმა.

V

ბ-ნო ივანე! მწერდი შენ, თუ გახსოვთ, თქვენი აქ ყოფნის დროს მე გითხარით, რომ ჩვენსას ძლიერ მოუხშირა სიარულს გიმნაზიის მასწავლებელმა მიქაშვილმა-მეთქი. თურმე ძას, როგორც მითხრა, მე ვყვარებივარ და გუშინ კიდეც ხელი მსთხოვა. ჩემი დედ-მამა სიხარულით ფეხზე არ არიან ღა მავალებენ უსათუოდ მივსთხოვდე. ჩემი თქვენდამი სიყვარული მათ არ სჯერათ და ამბობენ, რომ ეს ბავშვური, წარმავალი გატაცებაა. მე არ ვიცი რა ვქნა, როგორ მოვიქცე, ვის დაუჯერო, მათ თუ ჩემს გულს? ჩამოდით, მირჩიეთ რამე, მოელაპარაკეთ მშობლებს, იქნებ როგორმე დაიყოლიოთ, თორემ არ ვიცი რა წყალში გადავარდე, რა გზას დავადგე. ჩამოდით უსათუოდ, ადრე ჩამოდით, თორემ მერმედ იქნებ გვიან იყოს.“

ნ. ვ.

წავიკითხე, ულონოდ, ხმა-ამოუღებლივ დავარდი სკამზე და დიდხანს უაზროდ, ანგარიშ-მიუცემლად მივსშტერებოდი ერთს ადგილს. ვგრძნობდი, რომ ნიადაგი მეცლებოდა, უფსკრულში ვვარდებოდი, საჭირო იყო რაიმე ზომების მიღება, საშუალების გამოძებნა ამ უეცარი, სრულიად მოულოდნელი უბედურების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ მიუხედავად ამისა, გონს ვერ მოვსულვიყავ, ძალა ვერ მომეკრიბა. სიტყვები „ბ-ნო ივანე“, „თქვენ“, „თორემ მერე იქნებ გუიანლა იყოს“ და სხვა ასეთი მარგალიტები ლურსმებსავით მესობოდა და სტანჯავდა, სწიწკნიდა ჩემს სულს. ღმერთო, შენ გიყვარდი და არ იცოდი რა უნდა გექნა, როგორ უნდა მოქცეულიყავ?! შენი გული, გრძნობა ჩემდამი არას გეუბნებოდა! შენ, სწავლა მიღებულმა, სულით და გულით სპეტაკმა, ჯანღონით აღსავსე ქალმა არ იცოდი, როგორ უნდა დაგეხწია თავი ამ მდგომარეობიდან?! არა, შენ ეგ იცოდი, მაგრამ ძალა, ხასიათის სიმტკიცე და გამბედაობა, ნამდვილი, ცხოვრების და არა სიტყვიერი გამბედაობა გაკლდა და იოყეოდი. მე მივხვდი, რომ შენ ფუფუნებაში აღზრდილს და განებივრებულს, სუსტი ნების მქონეს გაშინებდა ცხოვრების მძაფრი პირობები, რომლებთანაც შებრძოლება და გამარჯვება, თუ გინდ საყვარელ ადამიანთან ერთად, დიდ სულიერ ძალას, სულიერ სიმტკიცეს მოითხოვს. შენ გაშინებდა მშობლების რისხვა, დამოუკიდებელი, მშრომელი ცხოვრება და ამიტომაც ვერ გადაგედგა ის ნაბიჯი, რომელიც ბუნებრივად უნდა გამომდინარებულიყო შენი გრძნობიდან.

რა უნდა მექნა? არაფერი, გარდა იმისა, რომ შენთვის მომენდო გადაწყვეტა ამ საკითხისა, შენი გულისათვის მიმენდო ჩემი ბედ-იღბალი და მეც არ ჩამოვედი. მე ვარჩიე ჩემი თავის გაწირვა, ვიდრე შენი გაჭირვების დანახვა და მწარე საყვედურის მოსმენა მომავალში. ვფიქრობდი, ავიტანდი შენს დაშორებას, მაგრამ ვერა... გუშინ წინ ცნობა მივიღე, შენ ჯვარი დაიწერე და დღეს ტყვიით განგმირული, საავადმყოფოს მწოლარე, უკანასკნელად ვიგონებ წარსულს და ყველაზე უფრო მაგონდება ეკლესია, ლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გემის აფეთქება.

მოწინააღმ. პოზიციებზე.

ზას კუბო, კუბოსთან შენ და შენი ალშფოთებული, მგრძნობიარე სიტყვები, მომართული იმ ყმაწვილის დასაგმობ-გასაკიცხავად, რომელმაც მზითევს სიყვარული ანაცვალა, უმანკო არსება ურებლიედ შეიწირა და იცი რა? თითქოს რაღაც საოცარ მზგავსებას ვპოვებ მათ და ჩვენს ამბვის შორის... მაგრამ კმარა. მომიტევე, მაპატიე ძველი სიყვარულის გამო ზოგიერთი მწარე სიტყვები, მომიტევე ყველაფერი, თვით სიკვდილიც, რომელიც ცოტათი მაინც შეგაწუხებს. იცოდე მე მაინც მადლიერი ვარ შენი, რომ უმშვენიერესი და უძლიერესი გრძნობა ამინთე გულში და ცოტა ხნით მაინც შვება-ნეტარება მაგრძნობინე...

იცი, მგონია სადღაც ამომიკითხავს, რომ უცხო მგზავრი მიადგა ზამთრის ბნელ და ცივ ღამეში ერთს განმარტოებულს, ყრუდ მიგდებულ სახლს. შევიდა შიგ, გაანათა და რა დაინახა ბუხარი, გარედან ხმელი შეშა შემოიტანა და ბუხარში ძლიერი ცეცხლი გააჩაღა. წარმტაცად გუზგუზებდა ცეცხლი და მალე მთელი სახლი, დიდი ხნის სიცივე-სიბნელისაგან შეპყრობილი, სასიამოვნო სითბო-სინათლემ მოიცო. თვით მგზავრიც დიდი სიამოვნებით სტკბებოდა ცეცხლის სიმხურვალით. ბოლოს კიდეც ტკბილად ჩამოეძინა, რომ უეცრად გაიღო კარი და ოთახში თავისუფლად შემოჭრილმა ძლიერმა ქარ-ბუქმა მიჰფანტ-მოჰფანტა ხის იატაკზე ანთებული ნაკვერჩხლები. უსიამოვნო სიცივის გრძნობამ გამოაღვიძა ტკბილად მიძინებული მგზავრი, რომელმაც, დაინახა თუ არა, რომ სახლს ცეცხლი ეკიდებოდა, შეკრთა და შეშინებული ძსწრაფლ გარედ გამოვარდა. მას არც კი უცდია, არც კი მოუფიქრნია გადარჩენა ცეცხლ-მოკიდებულ სახლისა. მან თავს უშველა, მალე მეორე სახლს შეაფარა თავი, ხოლო პირველი სახლი კი მის მიერ დანთებულ ცეცხლის მსხვერპლი გახდა და ფერფლად იქცა.

ხომ მიხვდი რისი თქმა მინდა? ოხ, რად დაგენდე, რად გაგიღე გულის კარი დავისუფლად, სიხარულით შემოგიშვი შიგ?! რად დამინთე, რად, გულში ცეცხლი, თუ დაწვას, ფერფლად ქცევას მიპირებდი?! ღმერთო, რად არ შემეძლო ვყოფილიყავ ვით ცივი ქვა, რომელიც ალის მოდებით მხოლოდ სიმხურვალეს განიცდიდა და შემდეგ, ისევ უვნებელი, გაცივდებოდა. მაგრამ არა, ასე სჯობია!!!... კმარა, სული მეხუთება... მეტი აღარ შემიძლიან... შეხვეული ჭრილობა შეეხსნა, სისხლი ღვარივით გადმოსჩქეფს. დეე, იაროს, რომ უფრო ადრე მომეღოს ბოლო. მშვიდობით... ხელი მიკანკალებს... მცივა. მგონი სიკვდილი მომიახლოვდა. მომიტევე... მშვიდობით, ჩემო პირველო და უკანასკნელო სიყვარულო!..

პატარა გოგი.

უგედური რუსი

(ქარგა ისტორიული*)

თავი მეორე.

ა.

თბილისის ამირის აბულასანის სასახლეს ექვსი ცხენოსანი მოადგა.

მათ დანახვაზე შესავალთან მდგარმა ორმა გოლიათმა შიშველი ხმლები ჩაგო და სტუმრებისკენ გამოეშურა.

თვალის დახამხამების უმალ ცხენოსანთაგან ოთხი ჩამოხტა და ორს დანარჩენს მოკრძალებით მიეხმარა: ლაგამი დაუჭირეს, უზანგს ხელი წაუვლეს.

ციხე-დარბაზის კარებიდან საპატიო შინა-ყმა გამოლაგდა.

— შინ გრძანდება ამირა?—

იკითხა მოსულთაგან ერთმა ახოვანმა და თან ცხენზე ჯდომით შეჭმუჭნული კაბა გაისწორა და მოკაუჭებული, თვლებით შეჭედილი ხმალი რიგზე დააყენა.

შინა ყმებმა დაუდასტურეს ამირას შინ ყოფნა.

მეორე დიდებულმა კი პირველ ახოვანს მოახსენა:

— სტუმრები ჰყოლია!—

და მიუთითა:

გალავნით შემოზღუდულ სა ახლის კარგა მოზრდილ ეზოში ძვირფასად დარახტული ცხენები მსახურთ ჯილავით დაჰყავდათ.

— ვინ არიან?

კვლავ იკითხა ახოვანმა.

— მსახურთ უხუცესი ვარდან დადიანი გრძანდება, სამცხის ბატონი გუზანი, ამირას ვაჟი...

— როდის ჩამოსულა?

— გუშინ, ერისთავთ-ერისთავო.. და თავადი მზეჭაბუკ ფარჯანანი გახლავთ...

ამასობაში ერთი შინაყმათაგანი დაწინაურდა და აბულასანს აცნობა:

— დიდი ერისთავი რატი სურამელი და თავადი ზვიადი სავარსამიძე ბობრძანდნენო.

ამის გაგონებაზე მორთხმით მჯდომარე მოხუცი აბულასანი ყმაწვილივით ზე წამოიჭრა და სტუმრებს მიეგება.

დანარჩენებმაც მის მაგალითს მიბაძეს.

რატი სურამელსა და მის მომყოლ ზვიადს ნახევარი კიბე არც კი ჰქონდათ გალეული, რომ მომღიმარი და მხიარული მასპინძელი წინ შემოეგებათ.

ტკბილად მიესალმენ ერთმანერთსა, დიდად მოიკითხეს.

აბულასანი ახლად მოსულთ ჩარდახისაკენ გაუძღვა. გაიარეს თაღებიანი გრძელი დერეფანი და ჩარდახზე მოხვდნენ.

ეს იყო ცალ-კერძო, სასახლის ბანი. ამ ბანზე კამაროსანი, ნაზი, წერწეტა მარმარილოს სვეტები იყო ამართული და თავს პაწია, სოფიის კენჭით შეთხზული გუმბათი ედგა. სვეტებს იქაც უცხო რამ მცენარე შემოხვეოდა, თითქო ხავერდის ქსოვილი არისო. იატაკი ვარდის ფერ ფილაქანით იყო მოგებული და შიგ ვიწრო რგოლებად შავი და ლურჯი ქვები იყო ჩაჭედილი. სვეტებ შუა კი მოსჩანდა მტკვარ გაღმა დიდებული ისანი*), საქართველოს მეფეთა სამყოფელი—უცხო სასახლეები, მომცრო, მაგრამ საუცხოვო აგებულების ტაძარი და მოშორებით „სანახები საგოდებელთა“, სასაფლაონი. უფრო ახლო კი მტკვარზე გადებული ხიდი ისანისა და ზედ აღმართული ოქრო'ს ბრჭყვიალა ჯვარი.

კარგ ალაგას იყო ამირას სასახლე. მტკვარ-გამოღმა, გორაკის კალთაზე. ქალაქის გალავნისა და სამხრეთის ბურჯებთან ახლო**)

დავით აღმაშენებლამდე, არაბთა ბატონობის დროს ეს იყო სამყოფელი და სასახლე არაბთა უფროსებისა, ამირასი. დღეს კი მხოლოდ სახელი იყო დარჩენილი ამირასი, თორემ ისე კი აქ უნდა ეცხოვრა თბილისის ქალაქის მოურავს და იმავე დროს ქართლის ერთი ნაწილის გამგებელსა.

ჩარდახზე მოთავსებული, არაბული მზის საათი ნაშუადღევის მეხუთე საჟამეს უჩვენებდა.

შემოდგომის ცხელი დღე იყო, მაგრამ აქ კი გრილოდა.

ასხლეტილ გუმბათს დაეჩრდილა იქაურობა და კოჟრის მთიდან მოდენილი ნიავი, მტკვრის მაგრილებელ სიოსთან ერთად იქაურობას საამურ სამყოფელად ხდიდა.

აბულასანმა მსახურთაგან სწრაფად მორთმეული სავარძელი ახლად მოსულთ თავის ტახტისკენ მიუწია, თვით ტახტზე აღმოსავლეთურად ფეხი მოირთხა და იქით-აქით სავარძლებში ერთის მხრით რატი სურამელი მოისვა, მეორეს მხრით ვარდან დადიანი.

სხვები ესე ჩამომწკრივდნენ: დადიანს აბულასანის ვაჟი გუზანი მოუჯდა გვერდით, რატი სურამელს სავარსამიძე, მის შემდეგ ფარჯანიანი დაჯდა.

შინაყმები და სტუმართ-მხლებლები კი ფეხზე იდგნენ, ხოლო მსახურთ რვა-კუთხიანი მომცრო სხვა და სხვა ხილით სავსე ტაბლა სტუმარ-ძასპინძელს ახლო მიუწიეს და უცხო ნაქაურობის ხელ-დოქებით სასახლის წყაროში ჩაცეცებული ღვინო მოარბენინეს.

აბულასანმა ოქროთი შეჭედილი, წარწერებიანი საშუალო კულა აავსებინა.

— ღვინო ცივია, მაგრამ კულათი უფრო საამურია ყელის გაგრილება.— ინებე, ერისთაო...

და კულა რატის გადააწოდა.

— ვეჟინური ღვინოა, ჰერეთისა, კახური... გიამების და შეგერგების... ვეჟინის ციხის უფროსმა გამომიგზავნა...

*) იხ. „საქართ.“ დამატება № 29

*) მეტეხი და ავლაბრის მიდამო.

**) ნარიყალის კალთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცხელა ეხლა...—აირიდა რატიმ. —კ ხური მძიმე სასმელია.

— სამწყურვალოდ შენი ფუცხუნა ქართლური სჯობს...

ტკბილად შეღიმილა დადიანმა.

— საუცხოვო რამ არის—ჩაურთო სავარსამიძემ—ძულან მასვა, საუზმეზე... არც გულს გატკენს და არც თავს...

ნელად გაიცინეს.

მასპინძელმა კვლავ შესთავაზა.

სტუმრებიც აღარ გაძალიანდნენ. ნელი-ნელ, უჩუმრად ყველამ შესვა თითო.

არაკრაკებდნენ კულას.

სიჩუმე ისევ აბულასანმა დაარღვია:

— მაშ ასე და ამა პირსა ზედა!.. სანამ შენ მობრძანდებოდი, ერისთავთ ერისთავო, საუბარი გვქონდა—აქ გაიღიმა ცოტა—მიხვდები რაზედაც... რა არის ამ ჟამად ყველა ჩვენთვის საზრუნველი?.. დიდი დავით ალმაშენებელის და გიორგი გმირის ტახტი არ დარჩეს უმემკვიდროდ.. ამისათვის კი მოუპოვოთ ღირსეული მეუღლე თამარ-საგანგებოსა...

ვარდან დადიანს ანაზდათ მომღიმარი სახე შეეცვალა. უხუმარი გამომეტყველება მიიღო და მომცრო და მმოძრავი ჭკვიანი თვალები თითქო გაღმა ისანს მიაპყრო.

რატიმ თანხმობის ნიშნად აბულასამს თავი დაუქნია და შემდეგ შეეკითხა:

— რა დაასკვენით?

— რას დავასკვნიდით?! კულავ აზრთა სიჭრელეა... ჩემი ვაჟი გუზანი ისევ მუტაფრადინს სალდუხის ძის ძეზე გვითითებს: დიდი კაცია, ზრდილი და ჭაბუკი საუცხოვო. სულთანია მის ქვეყანაშიო. მე მაინც იმ აზრისა ვარ: რამდენჯერ გვქონდა ამის შესახებ თათბირი! თუ კერძო, თუ საჯარო. მგონი, რაც თამარი ტახტზე აბრძანდა, ამისთვის ზრუნვა არ მოგვიშლია. მხოლოდ თუ ისე არა ვჩქარობდით, გლოვა იყო ამის მიზეზი. განსვენებულ გიორგი მეფის, თამარის სახელოვან მამის სულის საოხად ერთი წელიწადი მოვათიეთ ჩვეულებისამებრ და წლის თავის გასრულებაზე კი, მოგეხსენება, აღარ ძალ-გვედვა მოთმინება... ჰო და მე მაინც იმ აზრს ვადგივარ: რაც უკანასკნელად საჯარო თათბირზე დავასკვენით, საცა თვით კათალიკოსიც კი დაგვესწრო და აკურთხა ჩვენი რჩევა, ისე მოვიქცეთ.—დავუცადოთ ყივჩაყთა მეფესთან გაგზავნილ ჩვენ კაცს, სოვდაგარ ზანქანს. მოგვიყვანს იმ რუსსა, ვნახოთ, გავსინჯოთ და ერთ სწორ გზას დავადგეთ.

სიჩუმე ჩამოვარდა. შორიდან მხოლოდ მტკვრის ნელი შიშინი მოისმოდა.

შალვა დადიანი.

(შემდეგი იქნება)

პახეთის კავშირის და თელავის წვრილ კრედიტის გარშემო

ნეტამც არ დაგძინებოდა,
ოპოზიციავ, მხარზედა!
გამოგიქროლებს დავითი,
წაგიყვანს თავის ჭკვაზედა!

ოპოზიციამ გასძახა: ეგ ბანკი დამიცალეო,
განა სხვა ბანკი არ არის, რა ჩემზე მოიცალეო?
უჩვენოდ როგორ გაჰბედე და ქადას მოათალეო?
— დავითმა შემოუტია: ეგ როგორ დამაბრალეო?
ანგარიშებიც ამტკიცებს, მოდი, მოგება თვალეო!



ოპოზიცია შეითქვა, თელავს გაჰქონდა ზანზარი!
შემოკრბენ ექიმ-ვექილნი, ყველა პარტია აქ არი!
დავითს თუ იმის მომხრეებს მთლად დაუბნიეს დავთარი..
მეორე მხარეს გლეხობა, დათას საშველად მზად არი.
იძახის: მაგის წყალობით გვაქვს დღეს პური და შაქარი,
მოშორდით, მაგას მივანდეთ ჩვენი ბანკი და ქანქარი...

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**